

ალტერნატიული ფინანსური გზები

ახალბედა ინიციატივას შემოაქვს „Social Banking“-ის იდეა და საკრედიტო კოოპერატივის სახით გასცემს იაფ სესხებს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობისთვის

საკრედიტო კავშირ **EthicCapital**-ის წევრი ყველა მსურველს შეუძლია გახდეს. 2010 წლის შემოდგომიდან მოყოლებული საბურთალოზე, ოფისში მისი 5 თანამშრომელი მუშაობს იმისთვის, რომ თავდაპირველ დამფუძნებელთა და ინიციატორთა იდეები განხორციელდეს. ოფისად გადაკეთებულ საცხოვრებელ ბინაში ახალი წევრების გაწევრიანება, საკრედიტო განაცხადების მიღება, მსესხებელთა მომსახურება, საკუთარი მედიის აქტუალურობაზე ზრუნვა ხდება. ოფისში ერთმანეთს ხვდებიან კონსულტანტები და სტუმრები, დაინტერესებულები და დამფინანსებლები, მეურნეები და გამგეობის თავმჯდომარეები, იმისათვის, რომ ერთობლივად მისცენ ბიძგი ახალ პროექტებს, გააღრმავონ კონტაქტები, გააძლიერონ თანამშრომლობა და წარმართონ საკრედიტო საქმიანობა.

საკრედიტო კავშირის წევრებს **EthicCapital**-ის საშუალებით შეუძლიათ განხორციელონ საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ინიციატივების მხარდაჭერა, ან საკუთარი პროექტებისათვის მიიღონ ფინანსური დახმარება. საკრედიტო კოოპერატივში გაწევრიანების შედეგად თქვენ იღებთ საკუთარ წილს და ამავდროულად ზრდით **EthicCapital**-ის კაპიტალს. ამ გზით შესაძლებელი ხდება დაბალპროცენტიანი სესხების გაცემა, რომელთა საპროცენტო განაკვეთიც ბაზარზე არსებულზე ბევრად უფრო დაბალია. თუ წევრს სურვილი აქვს საკრედიტო კავშირში მეტი ფული შეიტანოს, ეს შესაძლებელია დაბალსარგებლიანი ანბრის ფორმით მოხდეს.

ჩვენი ახალი ინიციატივის ფინანსური საშუალებების მესამე წყაროს უცხოელი პარტნიორები წარმოადგენენ, რომლებიც საქართველოში ალტერნატიული საფინანსო იდეების განხორციელების მცდელობებს მხარდაჭერის ღირსად თვლიან და ქართულ საკრედიტო კავშირზე თავისმხრივ იაფი სესხებს გასცემენ. მაგალითად, ამგვარად მიიღო **EthicCapital**-მა ფონდ თავისუფალი საბანკო ერთობის (Stiftung der Freien Gemeinschaftsbank) და შვეიცარიული ალტერნატიული ბანკისაგან (ABS Bank) სესხები მინიმალური 1-2%-იანი განაკვეთით.

საკრედიტო კავშირი არ გასცემს დივიდენდებს, რაც კოოპერატივის 70 წევრისათვის მტკივნეული არ არის. პირიქითაც - **EthicCapital**-ის წევრები მოხარულნი არიან, რომ შედეგად იაფი სესხების გაცემა ხდება შესაძლებელი, რითაც მსესხებელებს თითქმის პერსონალურად ეხმარებიან. დაფინანსებული ყველა პროექტის შესახებ ინფორმაციის მიღება ვებ გვერდიდან, ან კოოპერატივის „ცნობის ფურცლიდან“ შეგიძლიათ, რომელიც სამ თვეში ერთხელ გამოდის. გამჭვირვალობა, სიცხადე და საჯაროობა ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანი პრინციპებია.

სესხი კოოპერატივის იმ წევრებზე გაიცემა, რომელთა გეგმებიც საკრედიტო კავშირის პრინციპებთან მოდის შესაბამისობაში. ფინანსდება მხოლოდ ეკოლოგიურად და სოციალურად გამართლებული პროექტები, რომლებიც ღირებულია: პროექტები სოციალური, კულტურული, ალტერნატიული ენერჯის და მდგრადი (სტაბილური) ეკონომიკის სფეროებიდან. პროექტის გამართლებულობა შესაძლებელია მაგალითად სასოფლო სამეურნეო ტექნიკის პარკის დაფინანსებაში მდგომარეობდეს, რაც საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეა, რადგან ბევრი საოჯახო მეურნეობა მიწას ჯერ კიდევ ხარების, ცხენების თუ ვირების დახმარებით ამუშავებს. საქმეში ჩახედულებმა იციან, რომ ეს აუცილებლობის და არა ტრადიციების დაცვის გამო ხდება. მოწეული მოსავალი, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ პირუტყვის პატრონი ოჯახის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. განსხვავებით იმ მეურნეთაგან, რომლებიც მიწას ტრაქტორით ამუშავებენ,

მოგებაზე ლაპარაკი, მიუხედავად გაწეული დიდი შრომისა და დახარჯული დროისა, ლაპარაკიც ზედმეტია.

მოგება კი ქართველი მცირე მეურნეებისა, თუ ახალბედა მწარმოებლებისთვის ხშირად ყოველდღიური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, თუ გონივრული სოციალური იდეის განხორციელებისთვის აუცილებლობას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში სესხები საქართველოში არსებული საშუალოდ 18%-იანი საპროცენტო განაკვეთით, ისედაც რთულ სიტუაციას კიდევ უფრო დაამძიმებდა და მსესხებლის საქმიანობას მნიშვნელოვნად შეაფერხებდა. ჩვენი საკრედიტო საქმიანობა ისეა მოწყობილი, რომ ინდივიდუალურად ერგება მსესხებლის აქტივობის თავისებურებებს. მიზანი იმგვარი მხარდაჭერაა, რომელიც დამატებით სირთულეებს არ იწვევს.

მოქმედებს პრინციპი: კავშირი ეხმარება ერთეულებს, ერთეულები ქმნიან კავშირს, გონივრული გაერთიანება კოოპერატივის სამართლებრივ ფორმაში ხორციელდება. კოოპერატივის იმ ფორმით დაბრუნება, რომელიც კომუნისტების დროს ფუნქციონირებდა? არა! აქ, იეირარქიის არმქონე ზონაში მთავარია ნდობა, ერთეულების პასუხისმგებლობა საკუთარი თავისა და კავშირის მიმართ. ამგვარად ნეგატიურ მოგონებებს ძველ კოოპერატივის ფორმაზე, ევროპაში უკვე კარგად აპრობირებულმა და დემოკრატიულად მართულმა კოოპერატივმა უნდა სძლიოს. ყოველ წევრს მხოლოდ ერთი ხმა აქვს, მიუხედავად მისი წილისა. კოოპერატივის მმართველობა დაინტერესებულია წევრთა აქტიური მონაწილეობით, წევრებისთვისაც თავის მხრივ მნიშვნელოვანია თანამონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში.

დავით ნიგურიანმა, მმართველმა და ინიციატორმა, **EthicCapital**-ის დაარსების იდეა გერმანული GLS ბანკიდან აიღო. ეს ბანკი ევროპულ სივრცეში, ასე ვთქვათ ალტერნატიული ბანკების მშობლად ითვლება და ამავდროულად ბატონი ნიგურიანის იდეურ და პრაქტიკულ განამანათლებელსაც წარმოადგენს. 1974 წელს GLS ბანკმაც თავისი საქმიანობა კოოპერატივის ფორმით დაიწყო. დღეს კი ის გერმანიის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ბანკია და ფინანსური კრიზისის პირობებშიც კი მნიშვნელოვან აღმავლობას განიცდიდა. ნიგურიანმა ქალაქ ნიურტინგენში ეკონომიკური ფაკულტეტი დამთავრა. ოთხწლიანი სტაჟირების პერიოდში და საბოლოოდ, როგორც საკრედიტო ოფიცერმა, GLS ბანკის შტუტგარტის ფილიალში, ეთიკური ბანკების სპეციფიკა შეისწავლა. მან თავიდანვე გააცნობიერა, რომ შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება ქართველოსთვის სასარგებლო იქნებოდა. საქართველოში დაბრუნების გადაწყვეტილება ვერც ბანკში შტატთან თანამშრომლად აყვანამ და ვერც გერმანულ ქალბატონზე დაქორწინებამ შეაცვლევინა.

EthicCapital-ი ფოკუსირებას ღირებულ, ინოვაციურ და საზოგადოებრივად სასარგებლო პროექტებზე აკეთებს, რომლებმაც შედეგად მდგრადობა და მსესხებელთა დამოუკიდებლობა უნდა მოიტანონ.

EthicCapital-ი მოხარულია, რომ მისი პოპულარობა უცხოელ დამფინანსებლებსა და წევრებში იზრდება.

ელიზაბეტ გასტიც, ქველმოქმედი გერმანიიდან და პროექტების გამოცდილი ინიციატორი საქართველოში

EthicCapital-ის წევრია და საკრედიტო კავშირის პოპულარიზაციას ეწევა. „საბანკო კოოპერატივი

EthicCapital-ის დაარსება საქართველოსთვის

მომავლისკენ მიმართული საქმიანობაა, რომელსაც მართლაც ახალი ხედვები შეაქვს საზოგადოებასა და ადამიანთა თანაცხოვრების სოლიდარობაში." ამბობს ქალბატონი ელიზაბეტ გასტი ქართული ინიციატივის შესახებ.

აქტუალური ციფრები: წევრი – 70,
დაფინანსებული პროექტი – 8, გაცემული
კრედიტების ჯამური თანხა – 20.700 EUR,
საკუთარი კაპიტალი – 4.100 EUR, ანაზრები – 2.
მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ:
www.ethiccapital.eu

მარი ნიგურიანი